საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის

ბრძანება №1-1/530
2021 წლის 8 დეკემბერი

ქ. თბილისი

**„2020-2021 წლების წლის ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ბალანსის დამტკიცების შესახებ" საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2019 წლის 23 დეკემბრის №1-1/601 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

„ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის და „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ" საქართველოს კანონის 168-ე მუხლის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

**მუხლი 1**

„2020-2021 წლების ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ბალანსის დამტკიცების შესახებ" საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2019 წლის 23 დეკემბრის №1-1/601 ბრძანებაში (ვებგვერდი, 25/12/2019, 300300000.22.024.016614) შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანების მუხლი $1^{1}$-ით დამტკიცებული „2021 წლის ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ბალანსი 2021 წლის 1 იანვარიდან 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით" ჩამოყალიბდეს ახალი თანდართული რედაქციით.

**მუხლი 2**

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ეკონომიკისა და
მდგრადი განვითარების მინისტრი

ნათელა თურნავა